სამშაბათი, 3 აპრილი 1907 წ. | წელიწადი პირველი — № 73

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. მერადქტ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

მწუხარებით დატანჯულნი: **დიანოსე მახარბელისძე და მიხაკო დიანოსეს ძე სვანიშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, შვიდ (7) აპრილს წიფნაგვარის წმინდა გიორგის ეკლესიაში (ოზურგეთის მაზრა) გადახდილი იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის: პირველის—შვილისა, მეორის—ძმისა

**სიმონ დიანოსეს ძე სვანიშვილისა.**

წირვა დაიწყება დილის ათ საათზედ. (5—26—1)

**ნამდვილი კახური ღვინო**

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ
„Дзмоба“
„ძმობა“
Телефонъ № 1036.
въ ТИФЛИСѢ.
Головинскій проспектъ д. ...

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—46)

**ხერხის ზავოდი**
**გ. ი. სერებრიაკოვისა**
**სამჭედლოს ახლოს**
იყიდება დახერხილი ნაძვის მასალა, დიდ-მალი საქონელი, ყველანაირ ზომისა
**ფასები დაკლებულია**
(10—586—7)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—72)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**ქალისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, ..., სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—80)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—20)

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.
**„კოლხიდა“**
აწვდის სოფლის მეურნეთაგან **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს**, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (**იონჯა, კოინდარი**), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, ფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—19)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (32)

**ჩვენ, 150 კაცისაგან შემდგარი დურგალთა წრე** დღეიდან ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ვიღებთ სადურგლო საქმეებს, ნარდად, დღიურად და ნაჭრად, რაც შეეხება მთელს შენობებს პატრონთათვის ხელ მისაწვდენ ფასებში. მსურველთ მიმართონ.
1) მე-7 ნაწილში, ვახტანგის ქ. № 16, ბ. კოკოლაშვილთან,
2) მე-8 ნაწილში ბ. კაპანაძეს, გონჩარის ქ. № 21;
3) მე-9 ნაწილში, ნემეცების სასაფლაოს ახლოს, საკუთარი სახლი, რკინის გზის გვერდით, ბ. შავერდაშვილს;
4) მე-1 ნაწილში, ბრევნოვიჩის ქ. № 3, დ. ვახნიაშვილს;
და 5) მე-2—3 ნაწილში—თხინვალის ქ. სახ. რატიანისა, № 3 ვ ჩაჩანიძეს.
(2—19 2) **დურგალთა არტელი.**

**წერა-კითხვის საზოგადოების**
წიგნის მაღაზიაში
იყიდება
„НЕТРОНУТЫЙ УГОЛОКЪ“
Грузинскіе разсказы
**Д. Ведребисели** (Д- К. Маліевой)
ფასი ერთი მანეთი
(10—6.—2)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს, რომ თავიდან ასაცილებლად ძალზე დატვირთულ ფურგუნების, დროგების და სხვათა ელექტრონის ტრამვაის ვაგონებთან შეტაკებისა, აღკრძალულია საქონლის ზიდვა ციციანოვის აღმართზე, (ეტლებს გარდა). დატვირთულმა ფურგუნებმა და სხვამ უნდა იარონ არსენალის შოსესზე. ამ წესის დარღვევისათვის გამგეობა დამნაშავეებს სასტიკ პასუხის გებაში მისცემს. (1—6.—1)

**სოფელ** მერეთში მცხოვრები **ივანე, (ნუშალა) დურგლიშვილი** მიჩივის, ვითომ მე დამებეზღებინოს აგიტატორები და დამეჭერინოს, აგრეთვე რაზმელები დამეჭერინოს და იგინი სიკვდილით დაესაჯოთ. ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა. ყველა ეს პირადის ინტერესებით არის მოგონილი, რომელიც იყო ჩემსა და დურგლიშვილს შორის და სხვას რომ ვერაფერს გახდა, ცილის წამებას მიჰყო ხელი. ვთხოვ ბ-ნ დურგლიშვილს სამედიატორო სამართალში გამომყვეს და დამიმტკიცოს ეს ცილის წამება.

(1—24—I) **წიწა დოლუშაშვილი.**

**ამ**ჟამად, 1907 წელს, მე, თედორე ხიტუს ძემ ქაჯაიამ ავიღე კოჯორში სეზონის ბუფეტი უძო ნიგოს წყარო ბატონ ხალათოვისაგან, რადგან სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ბუფეტი ამ წლისთვის გაუქირავებელი იყო; ამასთანავე ბეც გამომართვა ოც და ხუთი მან. (25 მან.). ეს ჩვენი მორიგება იყო მარტის 6-ში. ეხლა ჩვენი ამხანაგი გიორგი ავეტისოვი ხმებს ავრცელებს, რომ რადგან ის ადგილი წარსულ წელს მის ხელში ყოფილა, წელსაც თავის კუთნილად სთვლის და არა ჩემად. უმორჩილესად ვთხოვ ამხანაგს გიორგი ავეტისოვს, რომ სამედიატორო სასამართლოთი იქმნეს ჩვენი საქმე გარჩეული და არა კერძო მოციქულებით. ჩემის მხრივ ვნიშნავ სერაფიონ ექ. ცხვედიანს და ლავრენტი სერგ. სურმავას **თედო ქაჯაია.** (1—25—1)

### ტფილისი, 3 აპრილი

ერთსა და იმავე დღეს ლონდონის და პარიზის გავლენიან გაზეთებში დაბეჭდილი ყოფილა, რამდენისამე დღის წინად, შემდეგი დეპეშა პეტერბურგიდან: მონდობილი გვაქვს გამოვაცხადოთ, რომ მთავრობას არც ჰსურს და არც განუზრახავს სახ. სათათბიროს დათხოვნაო. ასეთი ოფიციოზური განცხადება მოხდა სწორედ იმის შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ სათათბირომ ბიუჯეტი კომისიას გადასცა ბიუჯეტის კომისიაში გადაცემა ნიშნავს იმას, რომ სათათბირო, ზოგიერთის ცვლილებით, ბოლოს და ბოლოს ბიუჯეტს დაამტკიცებს. ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობისათვის. ეს ერთი წელიწადია თითქმის მთავრობა გაფაციცებით ეძებს ევროპის ბირჟებზე სესხს, მაგრამ ამაოდ: ევროპამ გადაჭრით უპასუხა, სანამ სახელმწიფო ბიუჯეტი არ დაექვემდებარება სახალხო წარმომადგენლობის წესიერს კანტროლს, ფულს ვეღარ მოგცემთო. რუსეთის ბიუროკრატია იძულებული შეიქნა არა-თუ დაეჩქარებინა სათათბიროს მოწვევა, არამედ ისიც მოეთმინა, რომ სათათბიროს ორი მესამედი ოპოზიციონური გამოდგა და ორასამდე სარევოლიუციო ელემენტიც მოჰყვა შიგ. სამინისტროსთვის ესეც საკმარისი საბუთი იქნებოდა, არ მოეწვია სათათბირო, რომელშიაც ესოდენი რევოლიუციონერი აღმოჩნდა; მაგრამ უბიუჯეტობამ და უფულობამ აიძულა დაეთმო... აქედან ცხადათ სჩანს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ბიუჯეტის განხილვის საქმეს: სათათბიროს ბიუჯეტი რომ უარეყო, როგორც ს.-დ. და ს.-რ. ურჩევდნენ, სამინისტრო იმავე წუთს გარეკდა სათათბიროს. ამასთანავე მომავალის უზრუნველსაყოფელად, ყოველ ეჭვს გარეშეა, შეეცდებოდა საარჩევნო კანონის შეცვლას, რადგან რეპრესიები და „განმარტებანი“ რიგიან საშვალებად ვერ გამოდგნენ საარჩევნო ბრძოლაში.

მთელი ეს განგაში და აგიტაცია, რომელიც ბოლოს დროს ასტეხეს რეაქციონერებმა და ოფიციოზურმა პრესსამ სათათბიროს წინაალმდეგ, იყო მაშასადამე მხოლოდ მთავრობის ტაქტიკური ნაბიჯი. ჩვენ უკვე ვწერდით ამ ერთის კვირის წინად, რომ სათათბიროს გარეკის შესახებ ატეხილი ხმაურობა მხოლოდ ხერხია, რომლით მთავრობას სურს დააშინოს ოპოზიცია და ბიუჯეტი დაამტკიცებინოს. ამით მთავრობამ უნდა დაანახვოს ევროპას, რომ მისი სურვილი განხორციელდა, რომ ამიერიდან რუსეთსაც ექნება საკონსტიტუციო წესით დამტკიცებული ბიუჯეტი. ეს-კი უეჭველია ბევრად გაუადვილებს ბიუროკრატიას დიდის სესხის აღებას და განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლის გაგრძელებას. ჯერ-ჯერობით მთავრობას სათათბიროსი არ ეშინია და მიზეზიც არა აქვს დაითხოვოს. კა-დეტებს იმედი აქვთ, რომ ზოგიერთ უსაჭიროეს კანონებს გაიყვანენ და რამდენადმე მოქალაქობრივ თავისუფლების რეჟიმს დააწესებენ ხანგრძლივის „საალყო“ ბრძოლით; იმედი აქვთ, რომ ბიუჯეტის დამტკიცების სამაგიეროდ ჯილდოს აიღებენ: შეაწყნარებინებენ მთავრობას ზოგიერთ პოლიტიკურ კანონ-პროექტებს. მაგრამ სრულებით არა სჩანს, რომ მთავრობა მზად იყოს ასეთ კომპრომისებზე; პირიქით, ყოველივე გვიმტკიცებს, რომ სამინისტრო და თვითმპყრობელი ბიუროკრატია სავსებით უზრუნველყოფილად სთვლიან თავის მდგომარეობას ისეთს ციხე-სიმაგრის უკან, როგორიც არის სახელმწიფო საბჭო. „დაჰკარგე ყოველი იმედი, აქ შემომსვლელო“—ეს ცნობილი სიტყვები უნდა დაეწეროს სახელმ. საბჭოს ფრონტონზე, რადგან 4/5 იმის შემადგენლობის თვითმპყრობელ ბიუროკრატიას ან მის მონა-მორჩილს შეადგენს. ეს დარბაისელნი მოხუცნი და პინოსებრ გამოჩენილნი ახალგაზდა სახელმწიფო მოღვაწენი“ მშვენიერ მესაფლავეებათ გამოდგებიან სათათბიროს ყველა კანონებისათვის. ამ ბიუროკრატიულ დაწესებულების შემწეობით მთავრობა გააქარწყლებს სათათბიროს მთელს მეცადინეობას და ვიწრო ფარგალში მომწყვდეული ეყოლება სახალხო წარმომადგენლობა იმ დრომდე, სანამ მოხერხებულად დაინახავს მის გარეკას და coup d' ètat'ის მოხდენას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის საბოლოო განზრახვა მაინც ეს არის; ეს გადაწყვეტილი აქვს და სანამ „ძალა განწყობილება“ მის მხარეზეა, სანამ რეაქცია ძალაშია, უთუოდ შეეცდება ძველის წესის აღდგენას ბულიგინის „კონსტიტუციის“ ფარგალში. როცა სამინისტროს კვლავ გაეხსნება ევროპის კაპიტალისტების ჯიბე, დადგება ის დროც, როცა ყოველდღე უნდა მოველოდეთ 17 ოქტომბრის დაპირების ოფიციალურად გაუქმებასაც. ეს ფიალაც უნდა იგემოს მრავალტანჯულმა ქვეყანამ და მხოლოდ ამის შემდეგ მოახლოვდება დიდებულ გამარჯვების დღეც.

### შიმშილი სამეგრელოში

**გზა-გზა ნახული და გაგონილი.**

ლისიჭინის საზოგადოებიდან გზა კირცხის საზოგადოებისკენ მიდიოდა და ჩვენც ამ გზას შევუდექით. კირცხის საზოგადოება რამდენიმე სოფლისაგან შესდგება, ხოლო თვით სოფელი კირცხი რამდენიმე ვერსზეა გაჭიმულებული. აქაც, როგორც წინად ნახულ სოფლებში, კაცი შეამჩნევს არა ჩვეულებრივ დაქვეითებას ხალხისას ეკონომიურის მხრივ. ის, რაც ვთქვით ზანისა და ლისიჭანის საზოგადოებაზე, შეუცდომლად შეგვიძლიან განვიმეოროთ ამ საზოგადოებაზე, მცირე რამ განსხვავებით. მოუსავლობამ ერთის მხრით და უდიერმა მოთხოვნილებამ მთავრობისა და მემამულეებისა მეორეს მხრით, უკიდურეს განსაცდელში ჩააგდო ხალხი და ბევრი და დიდი დრო დასჭირდება იმას, რომ წელში გაიმართოს და ოჯახი არსებაში მოიყვანოს. იშვიათს ოჯახს ნახავთ, რომ გადასახადების გასასტუმრებლად ან მუშა საქონელი არ გაეყიდოს ან და თავისი სარჩო სიმინდი ჩალის ფასად არ მიეცეს ჩარჩისათვის. ხალხის თქმით, ეგზეკუციის დროს, სიმინდი გაიყიდა 30 კაპეიკად. ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, რომ მუშა ხარი გაიყიდა ერთ თუმნად. ეხლა 65 კაპეიკზე იაფად ფუთ სიმინდს ვერ იშოვნით. ამნაირად გლეხი ორპირად დაზარალდა. თოთხმეტ ოჯახის ავ-კარგი გამოვიკვლიეთ და 10 ოჯახს სიმინდი სრულებით არა ჰქონდა, დანარჩენი ოთხი ოჯახი სიმინდის გამოლევის მოლოდინში იყო.

მოთხოვნილება მთავრობის აგენტებისა გადასახადების შესახებ იმდენად მკაცრი და შეუბრალებელი იყო, რომ ბევრმა ქვეშაგები და ხალიჩები გაჰყიდა, რომ გადასახადებს და ამასთან შეკავშირებულ ეგზეკუციას გადარჩენოდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კირცხის საზოგადოებაში პოლიციას და მემამულეებს არ ჩამორჩნენ მღვდლებიც, რომელთაც სრულიად გადაახდევინეს გლეხებს სამი წლის დრამის ფული, ანუ თითო კომლზე ექვსი მანეთი; ისეთი გლეხი, რომელსაც სრულად არ გადაუხდია დრამის ფული, იშვიათია.

ასწონეთ ყოველივე ზემოთქმული, მიიღეთ მხედველობაში ისიც, რომ მოსავალმა, როგორც სხვაგან, აქაც უმტყუნა მიწის მუშას, და ადვილი გასაგები შეიქნება ის უმწეო მდგომარეობა კირცხელ გლეხისა, რომლის მოწმე ჩვენ ვიყავით. ხალხი უიმედოდ უყურებს თავის მდგომარეობას, საშველს არსაიდან გამოელის. ცრუ-მორწმუნეობას იმის შესახებ, რომ აბრეშუმის ჭიაა მოუსავლობისა და სიმინდის ჩრჩილის გაჩენის მიზეზი, აქაც გაუდგამს ფესვი, აქაც უარზე არიან საკვებ თანხის გამოტანაზე ისე, როგორც სამეგრელოს სხვა კუთხეებში და თავის ბედი და უბედურება ხალხს ღვთის განგებისათვის მიუნდვია.

დავიძარით ს. ჭაკვინჯისაკენ. მწარე ფიქრებმა ხალხის უმწეო მდგომარეობის შესახებ შემიცვა და ვერც კი შევამჩნიე, რომ ჩემი ამხანაგი ჩამომრჩა. ფიქრიდან ცხენის ფეხის ხმამ გამომიყვანა და რომ მოვიხედე, ჩემს ამხანაგთან ჩემთვის უცნობი კაცი მოდიოდა. ვიფიქრე, რომ მოეწია ვინმე და ერთად მოდიან მეთქი. ამასობაში დამეწივნენ. ჩემმა ამხანაგმა მიმითითა თანამგზავრზე და მითხრა, რომ იგი კირცხის მამასახლისია, ჩვენი ვინაობის შესატყობად უკან გამოგვდევნებია და ეხლა პასპორტს გვთხოვსო. რას ვიზამდი! გავიკარ ჯიბეში ხელი პასპორტის ამოსაღებად, მაგრამ მამასახლისმა შემაჩერა—საჭირო არ არის, ვიცი ვინცა ბძანდებითო. მეც დავემორჩილე მის განაჩენს, თუმცა აქამდის არ ვიცი, რითი დავიმსახურე მამასახლისის ნდობა. მამასახლისმა იგივე გვითხრა, რაც გლეხებმა ხალხის გაჭირვების შესახებ.

ჭაკვინჯი ის სოფელია, რომელიც რეპრესიების მძინვარების დროს საზარლად დაისაჯა—აქ დასწვეს არა ნაკლებ 40 მოსახლისა. ახლა არ უნდა იმას, რას განიცდიდნენ ისინი, რომელთაც წრევანდელ მოუსავლობასთან ერთად სახლ-კარი და სარჩო საბადებელი ცეცხლის მსხვერპლად გაუხადეს.

ჯერ კიდევ სოფელში არ ვიყავით შესული, რომ შეშით დატვირთული ურემი შეგვხვდა. გავაჩერეთ ურემი, გამოველაპა-

რაკეთ მეურმეს, რომელიც აღმოჩნდა თ. კ—ა. საინტერესო და საგულისხმიერო ამბები გვიამბო კ—იამ. რეპრესიების დროს იგი ორჯელ გადაუწვამთ; მისი ერთი შვილი მოუკლავთ. ეხლა სულს იქით აღარაფერი გაეჩინა. არა ხნავს, არა სთესავს და შვილს და მოკლულის შვილის შვილს ასაზდოებს იმითი, რასაც მეზობლები აწვდიან. ამისთანა პირობებში მყოფ კაცს გადაუხდია სახელმწიფო გადასახადი 2 მან. 50 კაპეიკი, ხოლო მღვდლისთვის დრამის ფული რომ ვერ უშოვნია, ხალიჩა მიუცია. არის ისეთი ფაქტები, რომელთაც განმარტება არ უნდა...

სხვა გადამწვარნი უკეთეს მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ—ყველა უბინაოა და სარჩო საზადებელი ეჭირვებათ. საჭიროა ჩქარი დახმარება. მოგვყავს იმ დაზარალებულთა სახელები და გვარები, რომელთა აღწერა ჩვენ მოვასწრეთ. აქ მოყვანილი სია რა თქმა უნდა სრული არ არის.

| სახელი და გვარი | რამდენი სულია. | რამდენი მუშაა. | რა დაიწვა. |
|---|---|---|---|
| 1. პ. ზარანდია „ | 3 | 1 | ყოველის ფერი |
| 2. კინტერია „ | 5 | 2 | სახ. და სამზარ. |
| 3. ზოსიმე „ „ | 3 | 1 | სახლი |
| 4. ერეკლე „ „ | 4 | 1 | ყოველის ფერი |
| 5. ნ. ჩ. ზარანდია | 3 | 1 | სახლი |
| 6. სვიმ. ჯობოს ძე | 3 | 1 | ყოველის ფერი |
| 7. მ. გ. მეგელია | 4 | 1 | „ „ |
| 8. ჯარუა „ „ | 4 | 1 | „ „ |
| 9. კ. ცხონლია „ | 7 | 2 | სახლი |
| 10. თ. ბ. გეთია | 4 | 1 | ორჯელ გადასწ. |
| 11. ბექია „ „ | 4 | 1 | ყოველის ფერი |
| 12. კოსტა „ „ | 4 | 2 | „ „ |
| 13. ე. ხუბულავა | 5 | 2 | „ „ |
| 14. დიანოს შელია | 8 | 2 | „ „ |
| 15. ე. აფშილავა | 4 | 2 | „ „ |
| 16. დ. შენგელია | 8 | 1 | „ „ |
| 17. დ. შენგელი. | 6 | 3 | „ „ |
| 18. ე. შენგელია | 2 | 1 | „ „ |
| 19. ნ. ხუბილავა | 3 | 1 | „ „ |
| 20. ა. ხუბილავა | 4 | 1 | სამზარეულო |
| 21. მალაქია „ | 4 | 1 | ყოველის ფერი |
| 22. ალექსი „ „ | 5 | 1 | „ „ |
| 23. ფ. ჯიქია „ | 3 | 1 | სახ. სასიმინდე |
| 24. თედორე „ | 4 | 2 | ყოველის ფერი |
| 25. თემა ცუ'უა | 5 | 1 | „ „ |
| 26. თეოფანე „ | 5 | 1 | „ „ |
| 27. იოსე ჩოჩუა | 6 | 3 | მიწ. გარ. სასიმ. |
| 28. თ. ჩოჩუა „ | 5 | 1 | ყოველის ფერი |
| 29. ა. ჩოჩუა „ | 10 | 2 | „ „ |
| 30. დათა ჩოჩუა | 4 | 2 | „ „ |

თითოოროლას ცეცხლით დაზარალებულს ქოხი აუშენებია. უმრავლესობა-კი უბინაოდ არის. ზოგს ცოლშვილი მოყვრებში გაუხიზნავს, ზოგს მეზობლებში და ზოგს კიდევ სად. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ მეზობლები დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან ცეცხლით დაზარალებულებს და ვ-საც რითი შეუძლიან, ეხმარება.

სხვა გლეხები უკეთეს მდგომარეობაში არ არიან. დიდს უმრავლესობას აკლია სიმინდი. ცოტა არ არის ისეთ გლეხთა რიცხვი, რომელთაც მუშა ხარი არა ჰყავთ, რომ მიწა დაიმუშაონ, ხშირად შეჰხვდებით ისეთ გლეხს, რომელიც იძულებული გამხდარა ჩალის ფასად გაეყიდნა მუშა და მოცადი საქონელი გადასახადების გასასტუმრებლად.

ჰაკვინჯიდან გავლით დავათვალიერეთ რამდენიმე გლეხი შემდეგ სოფლებში: ჯაგრაში, სარაქონში, ჩხორუწყუში და ლეწურწუმეში და მივედით ახუთში. დასახელებულ სოფლებში ხალხის უკიდურესი გაჭირვების იმნაირსავე სურათს წავაწყდით, როგორც სხვაგან.

**მოგზაური.**

## სათათბირო და საბჭო

(საagენტოს დეპეშები)

**სტოლიპინის მოხსენება.** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ 27 მარტს სტოლიპინმა მოხსენება წარუდგინა ხელმწიფეს დამშეულ ხალხის გამოკვებისა და რუსეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. სტოლიპინს საათ ნახევარი ულაპარაკნია ხელმწიფესთან და სრულებით არ შეჰხებია საკითხს სათათბიროს გარეკის შესახებ.

სახელმწ. სათათბიროს თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი ედუარდ ვლადიმირის ძე ფრიში გარდაიცვალა.

ადგილობრივ სათათბიროს რეფორმის საკითხის განსახილველად არჩეულმა სათათბიროს კომისიამ მიიღო ადგილობრივ სასამართლოში არჩევნების პრინციპი. კომისიის აზრს დაეთანხმა იუსტიციის ამხანაგი გოსმანი, რომელიც კომისიაში მონაწილეობას იღებდა.

**მთავრობის განკარგულება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომლითაც ყველა ოფიციალურ გამოცემას და აგრეთვე იმ გაზეთებს, რომელთაც მთავრობისგან შემწეობა ეძლევათ, უკრძალავს სათათბიროს სხდომების შესახებ დაწვრილებით ცნობების ბეჭდვას, რადგან სათათბიროში წარმოთქმული ბევრი სიტყვა აჯანყებს ხალხს მთავრობის წინააღმდეგო. განკარგულებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ყველა ოფიციალური გამოცემა ვალდებულია დაწვრილებით ჰბეჭდოს მთავრობის მომხრე მემარჯვენეების სიტყვები, მათი მოწინააღმდეგეებისა კი მოკლედ და სხარტულად. იმ გაზეთს, რომელიც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, მთავრობა ყოველნაირ შემწეობას მოუსპობს.

**მემარცხენე დეპუტატების დეპეშები.** „რუს. ვედ."-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ იქაურ ფოსტაში მემარცხენე დეპუტატების სახელობაზე მიღებულ დეპეშებს განსაკუთრებით ფოსტის უფროსს აძლევენ განსახილველად.

## ახალი ამბავი

—

✦ **შეტაკება ყაჩაღთა ბრბოსთან.** როგორც შულავერიდან გვატყობინებენ, იქ 1 აპრილს საღამოთი სტრაჟნიკები თავს დასცემიან ცნობილ ყაჩაღის, კატორგიდან გამოქცეულის არუტა ზუბინოვის ბრბოს. აუტეხნიათ სროლა, რომლის დროსაც მოუკლავთ მეთაური ზუბინოვი და დაუჭრიათ მისი ამხანაგი ვერმიშევი. ზუბატოვის ძმა აკოფი და სხვები გადამალულან. გაქცეულთ პოლიციელები დასდევნებიან.

✦ **ქალაქი და სამხედრო უწყება.** სამხედრო უწყებას ჯერ ისევ შარშან 51,000 მან. ემართა ტფ. ქალაქის თვითმართველობისა. საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, გამგეობამ მაშინ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, აეძულებინა აღნიშნულ უწყებისათვის ფულის გადახდა. რადგან გამგეობამ აქამდე პასუხი ვერ მიიღო, ხელმეორედ გადასწყვიტა აღძრან შუამდგომლობა და მასთან აცნობონ მთავრობას, რომ ქალაქი ჯარს, სურსათისათვის ფულს ვერ მისცემს, თუ ამ ვალს არ გადაიხდიანო.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 1 აპრილს, სახალხო სახლში ფ. გოგიჩაიშვილმა წაიკითხა ლექცია სახალხო მეურნეობის შესახებ საქართველოში მრეწველობის განვითარებამდე. ლექციას მრავალი ხალხი დაესწრო და ლექტორი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. გოგიჩაიშვილის ლექციას ხვალ დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველებს.

✦ **კიდევ სემინარიის პირველ კლასის შესახებ.** ამ დღეებში სას. სემინარიის გამგეობამ პირველ კლასის ორივე განყოფილების მოწაფეთა შესახებ მსჯელობა იქონია. გამგეობის ზოგიერთმა წევრებმა აღნიშნეს, ვითომ ქართველი მოწაფენი 15 თებერვალს მომხდარ ინციდენტში მონაწილეობის არ მიმღებ მოწაფე-ბერძნებს ცუდად ეპყრობოდნენ და მათზე ძალადობას ხმარობდნენ. გამგეობის წევრთა უმცირესობამ მოწაფეთა საქციელს სერიოზული ხასიათი არ მისცა და მას ჩვეულებრივი ამხანაგური კინკლაობა უწოდა. ამის და მიუხედავად, გამგეობის უმრავლესობამ (12 ხმა 4 ხმის წინააღმდეგ) დაადგინა, პირველ მაისამდის პირველ კლასის მოწაფეები დაითხოვოს ისე კი, რომ პირველ მაისიდან გამოცდაზე მოსვლის ნება მიეცეთ. ეგზარხოსმა უმრავლესობის აზრი დაამტკიცა იმ განსხვავებით, რომ მოწაფეებს გამოცდაზე მოსვლა 16 აგვისტომდის გადაუდო. მისივე განკარგულებით, 31 მარტის საღამოს ხუთ საათის შემდეგ ხსენებულ მოწაფეებს სემინარიაში ცხოვრება აღეკრძალებათ. მათ მიეცათ გზის ფული და თავ თავიანთს სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

✦ **შუამდგომლობა.** სიღნაღის მაზრის, მაღაროს და ბოდბის საზოგადოების გლეხები ძალზე დაზარალებულან მოუსავლობით 1906 წელს. მათი ნათესები თაგვს და სეტყვას გაუნადგურებია. წელს, აცხადებენ სოფლელნი, თუ გარდასახადების გადახდაში მთავრობამ შეღავათი არ მოგვცა, შიმშილი მოაგველისო. გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, სახელმწიფო გარდასახადების გადახდა რამდენისამე წლით გადაიხადოსო.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განცხადებანი.** სამხედრო-საოლქო სასამართლოში მისცეს ქუთაისის გუბ. სოფ. სვირის მცხოვრები პარმენ გიორგის ძე ცხალაძე, გორის მაზრის ს. ყარაღოქის მცხოვრები არტემ ქვრივიშვილი და იმავე მაზრის სოფ. კარალეთის მცხოვრები სოლომონ ყაზ. გურგენაშვილი, რომელთაც ჰბრალდებათ გორის ყარაულის რაჟდენ კვინიკაძის დაჭრა. ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნება ბორჩალოელი გ. ურუშაშვილი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. ტფ. გუბერნიიდამ ეტაპით იგზავნება სოფიო ჩერნიშევისა. 25 მანეთით დააჯარიმეს სახლის პატრონი გრ. მეიფარიანი.

✦ **გორის მაზრის უფროსი.** როგორც გავიგეთ, გორის მაზრის დროებით მმართველს ბაქრაძეს ხსენებულ მაზრის უფროსად ამტკიცებენ.

✦ **ავაზაკის მოკვლა.** როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, კანჯის მაზრაში მოჰკლეს ცნობილი ავაზაკი კალანდარახვერდი-ოღლი.

✦ **ქალაქის საარჩევნო კრებები** რამდენმამე ხმოსანმა სთხოვა ტფ. ქალაქის თავს, აიღოს ნება რთვა, იმართებოდეს კრებები საარჩევნო უბნებში.

✦ **ქალაქის მომავალი არჩევნები.** ამ დღეებში ტფ. ხმოსანთა მესამე საარჩევნო უბნის (8. 9 და 10 საპოლიციო ნაწილები) რამდენსამე ამომრჩეველს კრება ჰქონდა მომავალ არჩევნების შესახებ მოსალაპარაკებლად კრებაზე ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, ამ არჩევნებში პარტიები მიიღებენ მონაწილეობას, ამიტომ საჭიროა მათთან მოლაპარაკება შესათანხმებლადაო. ამ კრებამ ბოლოს ექვსი კაცი აირჩია და მათ დაავალა არსებულ პარტიებთან მოლაპარაკება.

✦ **საქმე მებრძოლ რაზმის შესახებ.** 13 აპრილს ტფ. სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საქმე სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლეების დარახველიძისა, ვორონინისა და გიორგი და სიმონ კურხულებისა, რომელთაც ჰბრალდებათ ამ ერთი წლის წინად მებრძოლ რაზმების შედგენა მთავრობასთან საბრძოლველად და არსებულ პოლიტიკური წესწყობილების დასანგრევად.

✦ **საარჩევნო სიები.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად საბჭოს ახალ ხმოსანთა საარჩევნო სიები. 13 აპრილისთვის გამგეობა უკვე შეამზადებს საარჩევნო ბილეთებს და დაურიგებს ამომრჩევლებს. ქალაქის ზოგიერთ უბანში უკვე აგიტაცია იწყობა ხმოსნების კანდიდატების დასასახელებლად.

✦ **მიზეზი ტრამვაის უწეს რიგო მიმოსვლისა.** როგორც ტფ. ტრამვაის მეთვალ ყურე კომისიას აღმოუჩენია, ამ ჟ მად მუშაობს მატორიანი ვაგონი 50 და მიბმული ვაგონი—29, მაშინ როდესაც ხელ-შეკრულების ძალით უნდა მუშაობდეს 64 მატორიანი ვაგონი.

✦ **ბანკში დაგირავებული მამულები.** 26 მარტს ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა გასასყიდ მამულებისა. გასასყიდად დანიშნული იყო ასს მამულზე მეტი. დიდმა უმრავლესობამ ფული წარადგინა და ვაჭრობაში მხოლოდ 19 მამული ჩავარდა. გაიყიდა სამი მამული, დანარჩენ 16 მამულზე ხელ-მეორედ ვაჭრობა დაინიშნა 11 აპრილისათვის.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „1907 წლის აპრილის 1-ს მოწვეულნი ვიყავით ჩვენ, ქვემო-დასახელებული სამედიატორო მოსამართლეები, სასტუმროს „სემეინიე ნომრების" პატრონის სამსონ მომცელიძესა და მოსამსახურეების შორის მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევად. ვითათბირეთ და დავრწმუნდით, რომ განხეთქილება მათ შორის ჯამაგირის ანგარიშებს და საურთიერთო გაუგებრობას გამოუწვევია. საქმე მორიგებით გათავდა და სამედიატორო სასამართლომ სამსონ მომცელიძე განთავისუფლებულად სცნო ყველა იმ ბრალდებათაგან, რომელნიც გაზ. „ისარის" მე-70 ნომერში იყო მოთავსებული. ეს დადგენილება გაზეთ „ისარ"-ში უნდა გამოცხადდეს.

თავმჯდომარე სამედიატორო სამართლისა **ანდრია ღულაძე.** მოსამართლენი: **ილია ნაკაშიძე, ნიკოლოზ კეკელიძე, სარდიონ ს. ზაკურაძე, ალექსი მღვდლიძე და გიორგი ლომიძე.**

✦ დუშეთის მაზრის სოფელ კაისხევის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეთ მემამულეთაგან ადგილების შესაძენად.

✦ საგუბერნიო მთავრობას ტფ. მაზრის სოფელ ენაგეთის გლეხებისთვის მიუცია სესხი სასოფლო სამეურნეო თანხიდან ადგილების შესაძენად.

✦ კვირას საღამოთი სამღვდელოების

## ფელეტონი

### სოციალ-დემოკრატების გამარჯვება საქართველოში

(შენიშვნები)

I

გაზეთ „ზაკავკაზიეს" ფურცლებზე გ—ვმა აღძრა მეტად საინტერესო საკითხი სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შესახებ საქართველოში. ავტორი საკმაოდ ვრცელ წერილში არკვევს ამ საკითხს და გამოჰყავს სრულებით მკაფიო და გადაჭრილი დასკვნა.

წერილის პირველ ნაწილში ავტორი ეხება სოც.-დემოკრატების გამარჯვებას უკანასკნელ არჩევნებში. რასაკვირველია, ავტორი რომ მარტო ამ საკითხზე შეჩერებულიყო, პასუხიც სულ მოკლე და ცხადი იქნებოდა, ბევრი ლაპარაკი კვლევა და ძიება აღარ იქნებოდა საჭირო და აღარც ჩვენ გამოვეკამათებოდით ავტორს და დავეთანხმებოდით, რომ ესდეკებმა გაიმარჯვეს არჩევნებში იმიტომ, რომ **ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა მხოლოდ მათში ხედავდა მთავრობისა და ფეოდალების თვითნებობის წინააღმდეგ მებრძოლებს** [1]. ამ საკითხზე ორი აზრი შეუძლებელია, და არა გვგონია ვინმე სერიოზულად დაიწყოს იმისი მტკიცება, რომ ესდეკების გამარჯვება არის შედეგი „ბოროტმოქმედებისა, ძალმომრეობისა და ფალსიფიკაციისა", რომელსაც თითქო სჩადიოდნენ ესდეკები საარჩევნო ბრძოლის დროს.

მართალია, აღნიშნულ უკულმართ მოვლენებს ჰქონდა ადგილი უკანასკნელ არჩევნების დროს, მაგრამ განგებ თვალის დახუჭვა იქნებოდა, რომ ჩვენი დამარცხება მარტო ამ გარემოებისათვის მიგვეწერა, ხოლო თვალის დახუჭვა სინამდვილეზე ვერაფერი იარაღია ბრძოლისათვის.

გ—ვი არ შეჩერდა აქ და მოინდომა მიზეზთა მიზეზის აღმოჩენა, სინჯა იმ პირობათა გამოკვლევა და გამოაშკარავება, რომლებმაც ესდეკები გახადეს ჩვენი გლეხობის გულის მფლობელად, ჩვენი სოფლის ბატონ-პატრონად.

ეს საკითხი გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე პირველი, მაგრამ ამასთანავე გაცილებით უფრო რთული და ძნელი ასახსნელი. ჩვენის აზრით, ავტორმა ვერ დასძლია ეს სიძნელე და მისი წერილი სავსეა წინააღმდეგობით, გაუგებრობით და შემცდარის დასკვნებით.

აღნიშნულ წერილს ჩვენს პრესაში შედარებით ცოტა ყურადღება მიაქციეს, მისი საბუთები და შემცდარი მოსაზრებანი დაურღვეველი დარჩა და ძირითადი საკითხი იმ წერილში წამოყენებული გამოურკვეველია.

ეს გარემოებები მაბედვინებს კვლავ დავუბრუნდე გ—ვის ფელეტონებს და შევიტანო სულ მცირედი წვლილი მაინც იმ საქმეში, რომლის შესასრულებლადაც დიდის ხნის და ბევრი უფრო მცოდნის უკეთ მომზადებულ მწერლის შრომაა საჭირო; ეს დიდი საქმე არის ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ დიდმნიშვნელოვან ხუთი წლის ისტორიაზე სწორი, საღი შეხედულების შექმნა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მოქმედებდა უმთავრესად ორი სოციალისტური პარტია: სოციალ დემოკრატია და სოციალისტ ფედერალისტებისა სოციალ-დემოკრატებმა თითქმის მთელი გლეხობა მიიმხრეს, მთელი ხალხი შემოჰკრიბეს თავიანთ დროშის ქვეშ. სოც.-ფედერალისტებს ის ღა დარჩენიათ, რომ ბეჭვდითი სიტყვას გააწევიონ პროპაგანდა და ეცადნენ, თავბრუდასხმული მშრომელი ხალხი გონს მოიყვანონ, შეაგნებინონ თავისი ინტერესები, გააგებინონ, რომ მტრები არ არიან ისინი, ვინც სცდილობს იმათ გამოფხიზლებას, სულიერ მოთხოვნილების გაფართოვებას, აფართოვანებას და ამაღლებას.

ამ უკნაურ მოვლენის მიზეზს გ—ვი იმაში ხედავს, რომ სოც.-დემოკრატები ხალხს უქადაგებდნენ იმას, რისთვისაც ხალხში ნიადაგი მომწიფებული იყო, უქადაგებდნენ ლუკმა პურზე, ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. **სოციალისტ-ფედერალისტები კი ლუკმა პურის გარდა „განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ხაზს უსვამდნენ ეროვნულ საკითხს".**

აი, პირველი ძირითადი შეცდომა ავტორისა. თუკი ჩვენი დამარცხების მიზეზი მართლა „ეროვნულ საკითხის ხაზგასმაა პრაქტიკულ მოქმედებაში" ავტორის არც ეს აზრია სავსებით მართალი), მაშინ გაუგებარი რჩება, სხვათა შორის, შემდეგი თვალსაჩინო მოვლენები:

საქართველოში სოც.-დემოკრატებისა და სოც.-ფედერალისტების პარტიების გარდა მოქმედებდა და მოქმედებს დღესაც აგრეთვე სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. ამ პარტიამ თავისი მოქმედება დაიწყო საქართველოში თითქმის იმ დროს, როცა სოც.-ფედერალისტმა დაიწყეს პრაქტიკული მოქმედება; ეკონომიური პროგრამმა თითქმის იმგვარივე აქვთ, როგორც სოც.-ფედერალისტებს, ხოლო ეროვნულ საკითხს არა თუ ხაზს არ უსვამენ, პირიქით სულ ან თითქმის სულ უყურადღებოდ სტოვებენ. მიუხედავად ამისა, საუბედუროდ ისინიც ისე ბრწყინვალედ მარცხდებიან ჩვენში, როგორც სოციალისტ-ფედერალისტები.

ამავე დროს როგორ მოხდა, რომ რუსეთში ესერებმა და კადეტებმა, რომელთაც, რაც უნდა იყოს, დეცენტრალიზაცია უფრო სწამთ, ვიდრე ესდეკებს და პროგრამმაშიაც უწერიათ, როგორ მოხდა მეთქი, რომ ამ პარტიებმა გაიმარჯვეს არა მარტო მიწის მომქმედ გუბერნიებში, იქეთ სამრეწველო რაიონებშიაც კი, როგორიც არის, მაგალითად, პეტერბურგი, მოსკოვი, ეკატერინოსლავის გუბერნია და სხვა?!

როგორ მოხდა, რომ პოლონეთში ბრწყინვალედ გაიმარჯვეს იმ პარტიებმა, რომელნიც ეროვნულ კითხვას გაცილებით უფრო ენერგიულად უსვამენ ხაზს, ვიდრე ჩვენებური სოციალისტ-ფედერალისტები?

მაშასადამე, რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს ესდეკების გამარჯვებისა და არა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ „ეროვნულ საკითხის ხაზგასმა".

ამ მიზეზების გამოკვლევას, თუ პირობებმა ხელი შეგვიწყო, შემდეგში ვეცდებით, ახლა კი საჭიროდ მიგვაჩნია კვალ-და-კვალ მივყვეთ ავტორს და აღვნიშნოთ მისი შეცდომები. მით უფრო მოსახერხებლად მიმაჩნია ეს, რომ წერილის ავტორი, როგორც სჩანს წერილის ერთი ადგილიდან, საბედნიეროდ არ ეკუთვნის იმ ჯურის მწერლებს, რომელთაც თავი უცოდველ პაპად მიაჩნიათ და ყოველგვარ კრიტიკას პირად შეურაცხყოფად სთვლიან.

„ძალიან ცოტათი განვითარებული და ნაკლებად მომზადებული ორატორი ესდეკებისა ამარცხებდა ხოლმე თავისზე უფრო განვითარებულ ინტელლიგენტ მოწინააღმდეგე ფედერალისტსაო",—ამბობს ავტორი და ამ უმცნაურს მოვლენას ხსნის **„გლეხების გულგრილობით, კიდევ მეტი, გლეხებ ს მტრულ განწყობილებით ეროვნულ საკითხის მიმართ".**

ჩვენ გვგონია, რომ აქ ავტორი ურევს ერთმანეთში ორს სხვა და სხვა გვარ მოვლენას. არასოდეს გლეხობას, როგორც მასსას, არ გამოუმჟღავნებია თავისი მტრული განწყობილება ეროვნული საკითხის მიმართ. გლეხები მტრულათ უხვდებოდნენ არა ეროვნულ იდეას, არამედ ამ იდეის მქადაგებლებს და ეს ხდებოდა (ვიხმარ ავტორის სიტყვებს) „იმ ნახევრად უვიცი სოციალ-დემოკრატების წყალობით, რომელნიც გლეხებს არწმუნებდნენ, რომ ფედერალისტები არიან ბატონ-ყმობის მომხრენი, სცდილობენ საქართველოს **სამეფოს** აღორძინებას, თავის **მეფისა** და კათალიკოსის აღდგენას და სხვა." გლეხები, სანამდის მოუსმენდნენ სოც.-ფედერალისტების პროპაგანდისტს და გაიგებდნენ, თუ რას უქადაგებდა იგი, სოც.-დემოკრატების ჩაგონებით, ყურს აღარ უგდებდნენ მას და წინდაწინვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ის ვაჟბატონი მდიდრებისა და თავად-აზნაურობის გამოგზავნილი იყო, მათი ინ-

[1] ამ წერილში კურსივი ყველგან ჩვენია.

ქვრივ-ობოლთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა სასულიერო კონცერტი ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. დაესწრო აგრეთვე ტფ. სამღვდელოება. საეკლესიო საგალობლები იმღერეს ნამესტნიკის კონვოის, ექსარხოსისა და მთნადირიშვილის მგალობელთა გუნდმა. კონცერტის დასასრულ კონვოის მგალობელთა გუნდმა „ბოჟე ცარია ხრანი" იმღერა. ამ მგალობელთა გუნდმა საერო სიმღერებიც სთქვა და დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა. რამდენიმე ხმა კიდეც გაამეორებინეს.

✦ დღეს, 3 აპრილის საღამოსათვის დანიშნულია სხდომა კავ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი, რომელიც განიხილავს საკითხს დამშეულთა დამხმარებელი კომიტეტის ორგანიზაციის შესახებ.

✦ როგორც საღგურ სადახლოდან გვატყობინებენ, ამ დღეებში იქ პოლიციელები თავს დასცემიან უაჩაღს არკადი ვართანიანცს და მოუკლავთ.

✦ ტრამვაის დირექტორმა შეატყობინა ტფ. ქალაქის გამგობას, რომ ერთ მატორიან და მიბმულ ვაგონს შუა უბედურების ასაცილებელი რკინის ბადე გაუკეთეთ საცდელად და შემოწმების შემდეგ საშუალება კარგი აღმოჩნდა, ყველა ვაგონს გაუკეთებთო.

✦ 1 აპრილს კავკასიის მუზეუმის პირდაპირ მიმავალ ელექტრონის ვაგონს ვიღაცამ პეტარდა შეუგორა. პეტარდა გასქდა და ხალხი შეაშინა.

✦ 1 აპრილს უდელის ქუჩაზე 3 ვიღაც კაცი შემოჰხვევია მიმავალ მიხეილ კოტლიაროვს, რომელსაც გამოსტაცეს ჯიხი, ქუდი, 30 მან., პალტო, აგრეთვე ამოაცალეს ფულად 17 მან. და მიიმალნენ.

✦ 30 მარტს პოლიციელებს ნავთლუღში დაუპატიმრებიათ ველოსიპედით მიმავალი ტფ. მცხოვრები მამედ ბაგირ-ისმაილოვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოსჩენია რუსულ და თათრულ ენაზე რვა პროკლამაცია.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: «სენაკის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე მღვდლის შვილი ორესტი პროხორის ძე იოსავა, თოთხმეტის წლისა, წლოვანობის შედარებით პატარა ტანისა 27 თებერვალს ამა 1907 წელს ახალ-სენაკიდან წამოვიდა ტფილისში ბიძასთან და დღემდის არა სჩანს, სად წავიდა, ვინ წაიყვანა და სად იმყოფება. ამისათვის ვთხოვთ, ვინც იცის ბ ვშვის ამბავი ან სად იმყოფება, შეგვატყობინონ ახალ-სენაკში სასულიერო სასწავლებელში. ან ტფილისში მთაწმინდაში პოტოჩნი პერეულოკი რეჩიცკის სახლში № 5».

✦ 30 მარტს საფოსტო კანტორაში ტფ. მოქალაქეს მაიერს მიუღია 300 მანეთამდე. გამოსვლის დროს მაიერს მიჰპარვია ვიღაც და ამოუცლია ჯიბიდან როგორც ეს ფული, ისე ფასიანი ქაღალდები 800 მან.

✦ 31 მარტს, საღამოს 7 საათზე, ტფ. პოლიციის უმცროს მოხელეთა სათადარიგო პოლიციელს ვასხარ ზაუროვს, რომელიც „ბაქოს" სასტუმროში ყოფილა ამხანაგებითურთ, უცაბედად რევოლვერი გავარდნია. ტყვია მოხვედრია ზავროვის ამხანაგს ირზაყულ აბდულ ოღლის. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 1 აპრილს ოლგასა და თეოდორის ქუჩებზე ვიღაცები დახვედრიან მიმავალ ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ ლობჟანიძეს, წაართვეს 41 მან. და მიიმალნენ. ეჭვი მიიტანეს ერთ კაცზე და დააპატიმრეს. აღმოჩნდა სპარსეთის ქვეშევრდომი ანდრიას ჩული-ოღლი.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა უკვე დაამთავრა ქალაქის გამგეობამ და გადასცა ბუხჰალტერიას შემოსავლისა და ხარჯის ჯამების გასაკეთებლად.

✦ 30 მარტს ქუთაისის ქუჩებში კვლავ განახლდა ჩხრეკა მოსიარულეებისა.

✦ 31 მარტისათვის დანიშნული კრება ქუთაისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წევრთა არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა.

✦ ქალაქის გამგეობამ უსაჭიროესს ხარჯების დასაფარავად გამოითხოვა ნებართვა სესხის აღებაზე. სესხისათვის, სხვათა შორის, მიმართა ქალაქმა საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას, რომელსაც სათადარიგო თანხად ამ ჟამად აქვს 22 ათასი მანეთი % ქაღალდებით, დღევანდელ კურსის მიხედვით ამ ქაღალდების განაღდება ქალაქის ზარალის მეტს არაფერს არ მისცემს.

✦ ჭიათურიდან მოსულებმა გვითხრეს, რომ უკანასკნელი სროლის გამო, იქ დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი და საალყო წესები მალე გამოცხადდებაო. თუ ეს ხმები გამართლდა, ვაგონების დატვირთვა ღამ-ღამობით შეწყდება, და ეს, რასაკვირველია, არა სასურველად იმოქმედებს მრეწველობის მსვლელობაზე.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა საავადმყოფოს გამგისაგან, რომ შეშა აღარ გვაქვს და შპალებსა ვწვავდით. საბჭოს თავმჯდომარემ განკარგულება მოახდინა, რომ ორი ვაგონი შეშა გაეგზანათ. ერთი წლის განმავლობაში საავადმყოფოს საჭიროებისათვის დახარჯულია 45 კუბიკური საჟენი შეშა.

✦ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა, ვითომ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორს როსტომაშვილს რევოლვერი ესროლეს, სიმართლეს არ ესაბამება. ნამდვილად საქმე ასე მომხდარა: როსტომაშვილი საღამოს პირად სახლში მისულა და დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ რევოლვერის ხმა გაუგონიათ და როცა გასულა სროლის მიზეზის შესატყობად, აღმოჩენილა, რომ ვიღაცას კარში უსროლია როველვერი, რომლის ტყვიას გაეხვრიტა კარის ფიცარი.

✦ რეალურ სასწავლებლიდან დაითხოვეს ოთხი მოწაფე პეტარდის აფეთქების განზრახვისათვის. როგორც ამბობენ, დათხოვნილ მოსწავლეებს მაშინ მიასწრეს, როცა პეტარდის ფილთას უკიდებდნენ ცეცხლს.

✦ ამ ჟამად ქუთაისის სატუსაღოში ითვლება 550 ტუსაღი. აქედან 40 კაცამდე ავად არის.

✦ **შავი ქვის მრეწველობის ქრონიკა.** სატეხნიკო განყოფილების გამგეს ინჟენერ საპიცკის მრეწველთა საბჭომ მიანდო ბაზრის ქუჩის მოკირწყვლის პირობების შედგენა. თუ ვინმე ამ სამუშაოს აიღებს იმ პირობით, რომ ფული ერთი წლის შემდეგ მიიღოს, მოკირწყვლის საქმე იჯარით უნდა გაიცეს ამავე დროს საბჭომ ცალკე კომისიას მიანდო მოლაპარაკება ჭიათურის ვაჭრებთან წყლის გაყვანის შესახებ. თუ ინდომებენ წყლით სარგებლობას, ქუჩის მოკირწყვლამდე უნდა შეეკრან მათ პირობით ამ საგნის შესახებ.

✦ უხიდობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ამ ჟამად ჭიათურაში მომუშავეთათვის. ეს გარემოება მიიღო მხედველობაში მრეწველთა საბჭომ და რგანის ხიდის შესაკეთებლად გადასდო 500 მან. ხოლო შეკეთება მიანდო ინჟენერ საპიცკის. ამავე რგანის ხიდის გასაკეთებლად საბჭოს მიწერ-მოწერა აქვს გამართული სხვა და სხვა ქარხანასთან. ერთმა უკვე აცნობა საბჭოს, რომ რგანის ხიდს გააკეთებს 10.000 მანეთად.

✦ სამრეწველო გზების პარაპეტების გასაკეთებლად მრეწველთა საბჭომ გადასდო 3000 მანეთი. ინჟენერმა საპიცკიმ მოიჯარადრეს პირობად უნდა დაუდოს, რომ ფული ექვსი თვის განმავლობაში მიიღოს.

✦ მრეწველთა საბჭოს წევრებს ი. გ. აბაშიძეს და ა. ს. ვაკოლოპულოს მიენდო, გამონახონ უადგილოდ დარჩენილ მუშებისათვის სამუშაო სატეხნიკო განყოფილების გამგის დახმარებით. ამ საგნისათვის საბჭომ გადასდო 1000 თუმანი.

✦ შავი ქვის მრეწველმა ილია კაკაბაძემ განცხადება შეიტანა მრეწველთა საბჭოში, რომ უადგილოდ დარჩენილთათვის დაქირავებულ იქნას საჩინო ვაშაძის სახლი. ამ საქმის მოწესრიგება მიენდო საბჭოს წევრებს ი. გ. აბაშიძეს და ა. ს. ვაკოლოპულოს.

✦ ხონის სოფლის საზოგადოების რწმუნებულებმა სთხოვეს მრეწველთა საბჭოს, ყოველ წლიური ან ერთდროული დახმარება აღმოუჩინოს ხალხში განზრახულ სავაჟო გიმნაზიას. მრეწველთა საბჭომ ამ საკითხის განხილვა გადასდო კრების წინა დღეებამდის იმ აზრით, რომ ერთად განიხილოს ამ გვარი შუამდგომლობანი.

## პროვინციის ცხოვრება

**ქიზიყი.** ამ ჟამად ქიზიყში შიმშილობაა, რომ ვსთქვა, შეიძლება ცოტათი გაზვიადებულად ეჩვენოს ვისმე, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შემიძლიან, რომ ორი მესამედი ქიზიყის მცხოვრებლებისა ნაყიდის პურით იკვებება. ფქვილსაც ფუთს ორ მანეთზე ნაკლებ ვეღარ იშოვნით. ადვილი წარმოსადგენია რა გაჭირვებაში იქნებიან ის მეკომურნი, რომელთაც წვრილშვილი ახვევიათ და რომელთა ცხოვრების წყაროც დღიურად აღებული სამუშაო ხელფასია. სამუშაო რომ ყოველ-დღე იყოს, როგორმე იოლათ წავიდოდნენ, მაგრამ მარტმა საქმე გააჭირა—კვირაში სამი-ოთხი დღე წვიმდა და მუშა ხალხს აცდენდა.

აი ამ ტანჯვაში არიან დღეს დღეობით ქიზიყელნი. რიგიანი ფქვილი მაინც იშოვებოდეს—ადგილობრივ ხორბალს იშვიათად თუ იშოვნით კოდს ხუთ მანეთად. მომეტებულ ნაწილად ტფილისიდან მოტანილი, უვარგისი ფქვილი იყიდება. წლეობით თუ ასე იშავშავებს ქიზიყელი, სამერმისოდ ხომ მოსავალს რიგიანი პირი არ უჩანს ეხლავე. წინამხარში, ალაზნის მინდორზე შემოდგომის ნახნავებში ჯეჯილი სრულებით არა სჩანს; რაც თითო-ოროლა ღერი ჯეჯილი იყო მოსული, ისიც თაგვმა მოჭამა. მხოლოდ გაზაფხულის ნახნავს, ახალ თესლს კარგი პირი აქვს, მაგრამ ახალთესლი სოფელზე სამასი დღიური არ იქნება—ორთაშუა რიცხვით კომლზე თითო დღიური. აბა ამ თითო დღიურმა რა ბარაქა უნდა გამოიღოს, ძლიერ კარგი მოსავალიც რომ იყოს სამერმისოდ მოსადოდნელი. ერთი სიტყვით, საჭიროა ამ გარემოებას ეხლავე ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს...

არც სხვაფრივ ვართ ქიზიყელნი განებივრებულნი—ყველაფრის სიძვირეა, ამასთან დიდი უფულობა მეთამბაქოები ხომ ამ ორ წელიწადში დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. ფუთი თამბაქო ოთხ მანეთს ზევით არავის გაუყიდნია, მაშინ, როდესაც თითონ მეტი აქვთ დახარჯული თამბაქოს მოყვანაზე. სამერმისოდ თითო-ოროლა ბედნიერი თუ აპირებს თამბაქოს დათესვას, თორემ უმრავლესობამ ხელი აიღო თამბაქოს მოყვანაზე. სათამბაქოე ადგილები საახალთესლედ დახნეს.

ჩვენსკენ ათასგვარ ბოროტ-მოქმედებას, ქურდობა-კაცის კვლას ბოლო არ ედება. ამ ბოლო ხანებში მოჰკლეს ჯუგაანური მაქრო საბას-ძე ზედელაშვილი—ჯუგაანის ბოლოშივე, ქუმბათზე მოჰკლეს ქ. სიღნაღის მოქალაქე ალ. ამირხანოვი.

თამბაქოს ფარდულების, საბძელ-კალოების დაწვას ხომ თვლა არ უნდა. თამბაქოს ფარდული დაუწვეს ს. ბოდბისხევის მცხოვრებს დათა კორაშვილს. ორას ფუთზე მეტი თამბაქო იყო ფარდულში ყველა ის ბოროტმოქმედება რომ ჩამოვთვალოთ, რაც ქიზიყში ამ უკანასკნელ ხანებში მოხდარა, მკითხველს თმა ყალყზე შეუდგება; ან რა საჭიროა მათი ჩამოთვლა. ყველამ იცის, რომ როცა პოლიციური რეჟიმი ჰარჰაშებს, ნაძირალა ელემენტები მაშინ წამოჰყოფენ ხოლმე მაღლა თავს და თავისუფლად დათარეშობენ..

X.

## რუსეთი

✦ **ხმები ფინლიანდიელთა შეიარაღების შესახებ.** გაზეთ „ნოვოე ვრემია", რუს-პატრიოტთა სასიქადულო ორგანო, კარგა ხანია სცდილობს სახელი გაუტეხოს ფინლიანდიელებს ყოველ-ნაირ შოვინისტურ ცილის წამებით. ამას წინადაც ერთი განგაში ასტეხა, ფინლიანდიელები იარაღს იძენენ და რუსეთს მტრობას უპირებენო. როგორც ამ ბოლო დროს გამორკვეულა, გაზეთს ჟანდარმებისაგან შეკრებილ ცნობებით უსარგებლია. ფინლიანდიის დედა ქალაქ ჰელსინგფორსში ამას წინად დაუჭერიათ პოლიციელებს ვიღაც გეგდალი, რომელსაც ქურდობას სწამებენ. როცა გაჩხრიკეს, უპოვეს სხვა და სხვა ქაღალდები, რომელიც ფინლიანდიაში საქმის ვითარებას შეეხებოდა და სხვათა შორის ამ ქაღალდებში მოთავსებული იყო ცნობები ფინლიანდიაში შემოტანილ იარაღის შესახებ. შემდეგ გამოძიებამ გამოარკვია, რომ გეგდალს ყველა ეს ქაღალდები თითონ შეუთხზავს იმ განზრახვით, რომ ჟანდარმებისათვის მიეყიდნა. გამოირკვა აგრეთვე, რომ იმავე გეგდალს გასული წლის შემოდგომაზედაც მიუყიდია ამგვარ ყალბ ცნობების ერთი ნაწილი ჟანდარმთა გამგეობისათვის და წინდაწინვე ფულიც მიუღია ავანსად თავის მომავალ მოღვაწეობისათვის.

✦ **პოლიტიკური პროცესსი.** მაისის პირველ რიცხვებში პეტერბურგის სამოსამართლო პალატა გაარჩევს საქმეს ს.-რევ—ების მებრძოლ რაზმის შესახებ, რომელსაც ჰბრალდება მოკვლა უმაღლეს მოხელეთა—დურნოვოს, აკიმოვის, ტრეპოვის, მინისა და რიმანის. ოთხი კაცია ბრალდებული: პერეკატოვი, გოცი, პავლოვი და ტრეცუბოვი. დამცველად, სხვათა შორის, იქნება ქართველი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.

✦ **თავის მოკვლა პეტრე-პავლეს ციხეში.** ამას წინად გაზეთებმა გადმოგვცეს ცნობები, რომ პეტერბურგის პეტრე-პავლეს სატუსაღოში თავი მოიკლა ერთმა პოლიტიკურმა ტუსაღმა დოროფეევის ქალმა. ამ ბოლო დროს გამოირკვა ამ საცოდავი ქალის დაღუპვის მიზეზი. დოროფეევის ქალი თავის ქმრით 1906 წლის დამდეგიდან ცხოვრობდა პეტერბურგში მყუდროდ, სანამ ფუნარინ ქუჩაზე დამოჯნის თანხის მოტაცება არ მოხდა. უეცრად ღამე პოლიცია თავს დაესხა დოროფეევის ოჯახს დაიჭირა თვითონ დოროფეევი და სამხედრო საველე სასამართლოს გადასცა, რომლის განაჩენით დოროფეევი ორი დღის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ დაატუსაღეს დოროფეევის ცოლი, რომელმაც არაფერი იცოდა თავისი ქმრის ბედ-იღბალის შესახებ. დოროფეევის ცოლი რამდენიმე თვე ამყოფეს ციხეში და მხოლოდ ამ ბოლო დროს აცნობეს მისთვის საზარელი ამბავი იმის ქმრის დაღუპვის შესახებ. თავ-ზარდაცემულმა ქალმა თავის მოკვლა გადასწყვიტა და შეასრულა კიდევაც.

✦ **დაგვიანებული ჯილდო.** 19 მარტს საზღვაო უწყებამ ბრძანება გამოსცა, რომლითაც ებოძა მე-4 ხარისხის წმ. გიორგის ჯვარი ჯავშნიან გემის ცესარევიჩის უფროს აფიცერს დიმიტრი შუმილოვს, რომელმაც რუსეთ-იაპონიის ომის დროს სიმამაცე გამოიჩინა. ახლა გამორკვეულა, რომ ხსენებული შუმილოვი უკვე 8 თვეა, რაც მკვდარია და არავითარ ჯილდოს არ ჰსაჭიროებს რასაკვირველია.

✦ **გადასახადების უარყოფა.** ორლოვის გუბერნიის სევისა და დმიტროვის მაზრებში გლეხთა შორის განსაკუთრებული ხასიათის მოძრაობა დაიწყო. ისინი უარჰყოფენ საერობო და სახაზინო გადასახადების შეტანას.

✦ **საყურადღებო წესი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მოსდის იმის შესახებ, რომ დამშეულ გუბერნიებში მთავრობის მოხელეები მხოლოდ იმ გლეხებს აძლევენ შემწეობას პურით, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც გადასახადების წესიერი გადამხდელნი.

✦ **თავად-აზნაურობის** თათბირი. 27 მარტს პეტერბურგში გაიხსნა თავად-აზნაურთა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ მთავრობას მიმართონ და სათათბიროს გარეკა სთხოვონ.

✦ **მისალმების დეპეშების აკრძალვა.** ეკატერინოდარის საფოსტო გამგეობამ აკრძალა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების სახელზე მისალოცი დეპეშების მიღება.

✦ **გაფრთხილება მემარცხენე რედაქტორისა.** კიევის საიდუმლო პოლიციის გამგემ მოიწვია თავისთან ადგილობრივ გაზეთის „კიევ. ტელ." რედაქტორი და უთხრა, მოსკოვიდან ცნობები მივიღეთ, რომ იოლოსის მკვლელი, „რევოლიუციის მოღვაწეებთან მებრძოლ კავშირის" წევრი კიევში წამოსულა და გაფრთხილებთ, საჭირო ზომები მიიღოთ ამ კაცის წინააღმდეგო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ სიმართლის აღსადგენად მცირე ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ისარ"-ში ამ მცირე შენიშვნას. მარტვილის საზოგადოებას, რომელიც ამ ჟამად განიცდის შიმშილს და მთავრობის სხვა და სხვა

---

ტერესების დასაცავად ქადაგობდა—და ამის შესაფერადაც უხვდებოდნენ. **გლეხობა იმიტომ კი არ უყვიროდა სოც.-ფედერალისტებს „ძირს", რომ ისინი ეროვნულ თავისუფლებას ქადაგობდნენ, არამედ იმიტომ რომ გლეხობა დარწმუნებული იყო, რომ ისინი ბატონ-ყმობის აღდგენას ქადაგობდნენ.**

სოც.-ფედერალისტები ეროვნულ თავისუფლებას გარდა მიწის სოციალიზაციასაც ჰქადაგობდნენ, ე. ი. ჰქადაგობდნენ, რომ მიწა უნდა იყოს იმისი, ვინც თითონ ამუშავებს, ამისათვის ყველას, ვინც მიწაზე არ მუშაობს, როგორიც არიან, მაგალითად; ხელმწიფის გვარეულობა, ეკკლესია-მონასტრები, ხაზინა და დიდი მემამულენი, უნდა ჩამოერთვათ მიწები და უნდა გადაეცეს მიწის მუშებს. როცა ფედერალისტები ამას ჰქადაგობდნენ, გლეხობა იმნაირისავე ფანატიზმით უძახოდა მათ „ძირსო", როგორც მაშინ, როცა ისინი ავტონომიაზე ლაპარაკობდნენ. ამნაირისავე ფანატიზმით ეძახოდნენ „ძირს"-ო სოციალისტ-რევოლიუციონერებსაც, რომელნიც ლუკმა-პურის საკითხს, მიწის მუშებისათვის მიწების გადაცემას ყოველთვის ხაზს უსვამდნენ.

მიზეზები ამ სამწუხარო მოვლენისა სულ სხვაა და არა ის, რაც გ—ვს გონია, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა კი განვაგრძობ საკამათო სტატიის შეცდომების აღნუსხვას.

**„კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეა უცვლელი ორგანიული ნაწილია მხოლოდ შეგნებულ პროლეტარიატისა"**,—ამბობს ავტორი და ამტკიცებს, რომ **განვითარების იმ საფეხურზე, რომელზედაც ს. დ. აზრით დღევანდელი რევოლიუცია მიგვიყვანს, ეროვნული საკითხი არა თუ არ გაჰქრება, პირიქით უფრო გამწვავდება."**

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ გლეხობა არ ეკუთვნის შეგნებულ პროლეტარიატს და ამიტომ მისთვის მიუწდომელია კოსმოპოლიტიზმის და ინტერნაციონალიზმის იდეა. მაშასადამე, სანამ გლეხობა არ გადავა შეგნებულ პროლეტარიატის კატეგორიაში, მანამდის მას შეთვისებული ექნება ეროვნული გრძნობა, მის „ორგანიულ ნაწილს" შეადგენს ეროვნული იდეა. თუ ეს ასეა, გაუგებარი რჩება, როგორ შეუძლიან გლეხობას მტრულად უყუროს იმას, რაც მისი სულისა და მისი არსების ნაწილს შეადგენს!

ამას გარდა მოყვანილ ციტატში დაპირდაპირებულია ერთის მხრით კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეა. ინტერნაციონალიზმი სრულებითაც არ უარჰყოფს ინდივიდის ეროვნულ თვითშეგნებას, მოქალაქის მისწრაფებას, რომ მისი ერი იყოს სხვისაგან დამოუკიდებელი და სხვებთან ერთად თავისუფლად ვითარდებოდეს, არ უარჰყოფს მოქალაქის მზად ყოფნას სამშობლოსათვის იბრძოლოს და თავი დასდოს, თუ კი ვინმემ სინჯა მისი ხალხის დაჩაგვრა, დამონება და განადგურება!

გერმანიის „შეგნებულ პროლეტარიატის" პარტია ამაზე უფრო შორს წავიდა და თავის მხცოვან მეთაურის პირით განაცხადა, თოფს გავიდებთ მხარზე და ვიბრძოლებთ, თუ კი გერმანიის მთლიანობას ვინმე შეეხოო.

ჩვენის აზრით ინტერნაციონალიზმი ეროვნების წიხლის კვრა კი არ არის, დიდი ერის მიერ პატარა ერის გადაყლაპვასთან შერიგება კი არ არის, როგორც ეს ჩვენებურ სოციალდემოკრატებს ჰგონიათ, არამედ არის ყველა ხალხთა შორის თანასწორობა, სოლიდარობა და ერთობა!

ავტორი ხელახლა უბრუნდება იმ **„უეჭველად დამყარებულ ფაქტს, რომ ქართველი გლეხობა ეროვნულ საკითხს გულგრილად ეპყრობოდა"**.

საიდან გამოჰყავს ავტორს ასეთი გადაჭრილი აზრი? ვინ, როდის ან რა გზით დაამტკიცა ასეთი უცნაური ფაქტი? ეს აპრიორული დასკვნაა ავტორისა და არა ნამდვილ დაკვირვების და კვლევის შედეგი. ავტორი თითონ ამბობს ერთ ადგილას: „მჯერა, რომ ყოფილა შემთხვევები სოც.-დემოკრატების მხრით დემაგოგიისა, ძალადობისა და სასკანდალო საქციელის ჩადენისა".

თუ ავტორი არა სცდება და მართალია, რომ გლეხობა მტრულად უყურებდა ეროვნულ იდეას, რაღა საჭირო იქნებოდა მაშინ სოც.-დემოკრატების მხრით სოც.-ფედერალისტების წინააღმდეგ **დემაგოგია, ძალადობა და სკანდალები**?

ამგვარი გაცხარება სოც.-დემოკრატებისა, დემაგოგია და სკანდალები უტყუარი ნიშანია მისი, რომ ეროვნულ იდეის საქადაგოდ ნიადაგი მზად იყო გლეხობაში, გლეხობას ეროვნული გრძნობა გულში უღვივოდა და სოც.-დემოკრატებს ეშინოდათ, რომ გლეხები მიატოვებდნენ მათ და მიემხრობოდნენ იმათ, **ვინც არსების პურის მოპოვებასთან ერთად უქადაგებდა მათ პიროვნებისა და ერის თავისუფლებას, ერთა შორის თანასწორობას და ერთობას!**

**ინ.**

(დასასრული იქნება)

[illegible] დღების თვალში. ვთხოვთ სხვა რედაქციებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი.

სკოლის ზედამხედველი **ა. სულავა.** მასწავლებლები: **პ. ასათიანი, ს. ფაცია, ბლაღ. მღ. რ. ქალაგანიძე.** მზრუნველი სკოლისა **თ. კვირაია.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი.

**ეკატერინოსლავი.** პრიმიპის ახალ-შენში პურის კანტორიდან შეიარაღებულებმა 3000 მანეთი გაიტაცეს.

**შანჰაი.** ჩინეთის მთავრობამ ინგლისის რკინის გზათა სინდიკატთან მოლაპარაკება გამართა აღმოსავლეთ თურქესტანში რკინის გზის გაყვანის შესახებ.

**პეტერბურგი.** სამოს. პალატამ მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფი პანტელეევი დამნაშავედ იცნო და ერთი წლით დაპატიმრება მიუსაჯა. პანტელეევს ბრალდება ფულის დატყუება.

**ლოძი.** უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბებისა გამო პოლიციამ კერძო სახლებსა და ქუჩაშიაც ჩხრეკა დაიწყო. იპოვნეს ბევრი ბრაუნინგი.

**ლეიპციგი.** სამეტალურგო ქარხნების, პატრონთა კავშირმა მუშებს გამოუცხადა ვინც პირველ მაისს იდღესასწაულებს, ანგარიშს გაუსწორებთო.

**ჰამბურგი.** ჰამბურგის სამუშაოს მიმცემთ გამოუცხადეს მუშებს: თუ პირველი მაისი იდღესასწაულეთ, ათი დღის ლოკაუტს გამოგიცხადებთო.

**ბუდა-პეშტი.** დეპუტატთა პალატაში მინისტრმა განაცხადა: აზრათა მაქვს შუამდგომლობა აღვძრა სენატის წინაშე, რომ მაისის დღესასწაული აღკრძალულ იქნესო.

**ბრიანსკი.** ლგოვის სადგურზე ჩხრეკის დროს სასიკვდილოდ დასჭრეს ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი ზაქაროვი.

**კიევი.** დამე სასულიერო სემინარიაში დიდი არეულობა მოხდა. მიზეზი ის იყო, რომ ინსპექციამ მოსწავლეთა ნახევარს ყოფაქცევაში ცუდი ნიშნები დაუსვა. სემინარია დახურეს მოსწავლეებს წინადადება მისცეს, ორ დღეში გავიდნენ სემინარიის შენობიდან.

**ეკატერინოსლავი.** ბრიანსკის მოედანზე დიდი მიტინგი მოხდა. დაესწრო რამდენიმე ათასი მუშა ინჟენერ მილოვის მოკვლის გამო დახურულ ბრინსკის ქარხნიდან.

**მოსკოვი.** პოლიციამ აღმო ჩინა მძარცველთა ბრბო, რომელიც მოსკოვსა და მის მაზრაში მოქმედებდა. ბრბომ გაძარცვა ივანოვების მამული სოფ. პარშინაში, ვოლკოვის მამულიდან 7000 მანეთი გაიტაცა, მოჰკლა ვლადიმირის მაზრის ლუკიანოვსკის უდაბნოს არქიმანდრიტი აგათანგელი. ბრბოს მეთაურობდა კატორგიდან გამოქცეული როგაჩევი.

**ტულონი.** პურის მცხობლებმა 30 მარტის კრებაზე დაადგინეს: 31 მარტს შუადღისას გაფიცვა გამოაცხადონ.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატაში მინისტრ პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ კაბინეტმა გადადგომის ქაღალდი შეიტანაო. პალატამ დაადგინა: შესწყვიტოს სხდომები მდგომარეობის გამოკვლევამდე.

**ასხაბადი.** აფიცერი ერემეევი, რომელიც ოლქის უფროსთან საგანგებო საქმეთა მოხელედ იყო, სამის ტყვიით დასჭრეს. ერემეევი წინად ასხაბადის პოლიცმეისტრად იყო.

**პეტერბურგი** სინოდმა დაადგინა: გადაისინჯოს საეპარქიო საქალებო სასწავლებლების პროგრამმა და ამ სასწავლებლებში გაიხსნას მეშვიდე კლასი.

ქალთა საექიმო ინსტიტუტში 223 ქალი გამოსცადეს, ამათგან 221 მიიღო მკურნალის დიპლომი. იმათ რიცხვში 8 ქალს საზღვარ-გარედ უნივერსიტეტების დოქტორის დიპლომი აქვთ.

**მინსკი.** გუბერნატორის სახლის პირდაპირ უცნობნი ჩასაფრებულიყვნენ. პოლიციის აგენტმა ერთის მათგანის დაპატიმრება განიზრახა. ასტყდა სროლა. დასჭრეს პოლიციის აგენტი, უბნის ზედამხედველი და გოროდოვოი. ორი კაცი დაიჭირეს. სხვები მიიმალნენ, დაჭრილთაგანი ერთი დაჭრილია.

**ეკატერინოსლავი.** ყველა ქარხანაში მიტინგები იმართება. მიტინგებზე ფაბრიკულ ტერორს ზიზღს უცხადებდნენ.

**ნიუ-იორკი.** შანჰაიდან იუწყებიან, რომ ჩინეთში შიმშილობა ძლიერდება. დამშეულთა რიცხვი ათ მილიონამდე უწევს. სამი მილიონი სიკვდილის პირადაა. დღეში შიმშილისაგან 6000 კაცი კვდება. კაცის ჭამის მაგალითიც იყო. საზღვარ-გარეთიდან შემოწირულება მოდის.

**მინსკი** პოლიციის საწინააღმდეგოდ ჩასაფრებულთა სახლში აღმოაჩინეს ასაფეთქებელი მასალათა მთელი ლაბორატორია. იპოვნეს აგრეთვე ბევრი დინამიტი, 17 გირვანქა თოფის-წამალი, 10 ყუმბარის ბუდე, ორი გატენილი ყუმბარა. ბოთლი ვერცხლის წყლით სავსე, ბოთლი რაღაც სიმჟავით სავსე, პიქსფორდის ზორანი, 10 ნიღაბი. იქვე იპოვნეს ბევრი პატრონა, ხელნაწერები და პროკლამაციები. დამტკიცდა, რომ ბოლო დროს ძარცვა გლეჯის ბუდე ეს სახლი ყოფილა. სხვათა შორის აღმოაჩინეს რკინის ყუთი, რომელიც რაპპოპორტის ბანკის კანტორის გაძარცვის დროს დაიკარგა. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ პოლონელები, ბენტკოვსკი და კავეცკი. სახლებს ჩხრეკავენ და კაცებს აპატიმრებენ.

**შუია.** პავლოვის კანტორის ცეცხლისაგან უზრუნველ-ყოფილ შკაფიდან ვიღაც უცნობებმა მოიტაცეს 43,000 მანეთი.

**პლოცკი.** ვისლა ნაპირებიდან გადავიდა და 15 სოფელი დაფარა. ნათესი სულ გააფუჭა.

**ეკატერინოსლავი.** ვოენნი ქუჩაზე დასჭრეს საგუბერნიო სატუსაღოს უფროსის თანაშემწე.

**პარიჟი.** 30 მარტს 2000 პურის მცხობელი შეიკრიბა შრომის ბირჟაში. უმრავლესობამ ერთის ხმის წინააღმდეგ დაადგინა: გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა. გაფიცულებს საფრანგეთის ყოველ კუთხეში მისწერეს ამხანაგებს, რომ გაფიცვას მხარი დაუჭირონ. პარიზს ცვლილება არა ეტყობა რა. პრეფექტურა ამბობს, გაფიცვა ჩაიშლებაო, თუმცა შრომის ფედერაცია არწმუნებს, რომ გაფიცვა გაძლიერდებაო.

**რიგა.** სატუსაღოში სისხლის სამართალში მიცემული 33 ტუსაღი ზედამხედველს ეცა და დახრჩობა დაუწყო. წაართვეს გასაღებები და რევოლვერი. მერე შეუვარდნენ შიგნით ყარაულს და ოთხი თოფი მოიტაცეს. როცა როტა ჯარი მოვიდა, შეიარაღებულთ წინააღმდეგობა გაუწიეს. როტაც იარაღით მოქმედებდა. ერთი საათის შემდეგ წეს-რიგი აღადგინეს. დაიჭრა 9 ჯარის კაცი. იმათგან 2 მძიმედ. ნაცემია ზე ამხედველი, მსუბუქად დაიჭრა სატუსაღოს უფროსი. 7 ტუსაღი მოჰკლეს და 12 დასჭრეს.

**პარიჟი.** შესდგა კომისია, რომელსაც აზრადა აქვს გაუადვილოს უცხოელებს მაღალ სასწავლებლებში შესვლა. კომისია უკვე შეუდგა მოქმედებას. გაფიცულ პურის მცხოვრებლების რიცხვი მცირდება. 34 გაფიცული დააპატიმრეს.

**ბერლინი.** სასამართლომ ს.-დემოკრატის როზა ლიუკსემბურგის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. როზას შვეიცარიის სასამართლომ ორის თვით სატუსაღოში ჯდომა მიუსაჯა, რადგან იგი საყოველთაო გაფიცვაზე ხალხს იწვევდა.

3 აპრილი.

**ტოკიო.** ვასედას უნივერსიტეტში ჩვეულებადაა, რათა სტუდენტები ორატორობას მიაჩვიონ, პარლამენტის მსგავსი კრებები გამართონ ხოლმე. ამ დღეებში სხვა საკითხთა შორის ზოგიერთა სტუდენტებმა ბილლი შემოიტანეს კორეს იმპერატორის იაპონიის პერად დანიშვნის შესახებ. კორეელ სტუდენტებმა მოითხოვეს, ბილლი უკანვე წაეღოთ და იმის შემომტანი სტუდენტები დაესაჯათ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოთხოვნის პირველი ნაწილი შეასრულა, ხოლო მეორე არა. 18 კორეელი უნივერსიტეტიდან გავიდა.—გაზეთ «ასახი»-მ გამოაქვეყნა მთავრობის გეგმა ჯარის შევსების შესახებ. რეფორმა იმაში მდგომარეობას, რომ ჯარი უნდა გააძლიერონ ახლად შედგენილ პოლკებით. თუ განზრახული რეფორმა განხორციელდა, იაპონიას შეძლება მიეცემა ერთი მილიონი ჯარის კაცი გაიყვანოს. ფიქრობენ აგრეთვე კორესა და მანჯურიაში ჯარი, გვარდიის გარდა, 19 დივიზიამდე აიყვანონ.

**კურსკი.** საღამოთი «კურსკის გაზეთი»-ს რედაქციის კარებთან ყუმბარა გასკდა. არავინ არ დაშავებულა.

**ნოვოჩერკასკი.** ღამე ბევრს სემინარიელს სახლი გაუჩხრიკეს — 7 კაცი დააპატიმრეს. დაიჭირეს ს.-დემოკრატების სასარგებლოდ ფულების მოსაგროვებელი ფურცლები.

**ეკატერინოსლავი.** როცა პოლიცია ჩეხოვიჩის სახლის გაჩხრეკას შეუდგა, სახლიდგან რევოლვერები დაახალეს. დაჭრილია პოლიციის მოხელე და სახლის პატრონი. დაიჭირეს ერთი ცნობილი ქურდი.

8 ქარხნის წარმომადგენლებმა გუბერნატორს განუცხადეს, რომ ამ პირობებში (ძალადობა, ტერორი, ბრიანსკის ქარხანაში გილოვის მოკვლა) ქარხნების დაკეტვა აუცილებელიაო.

**მინსკი.** ბევრი სახლი გაჩხრიკეს და ბევრი კაცი დააპატიმრეს. ამ ჩხრეკას და დაპატიმრებას გარბერის მოკვლასთან კავშირი აქვს. იპოვნეს ყუმბარა, გექტოგრაფიული ჩარხი, პროკლამაციები, ბროშიურები, სარევოლიუციო პარტიის ბეჭედი. დააპატიმრეს 11 კაცი, ამათ რიცხვში ორი მეთაურთაგანია.

**ელისავეტგრადი.** ოლვიოპოლში უცნობნი მოეპიმოკოვს შეუვარდნენ, მოჰკლეს ცოლ-ქმარი, მათი შვილები, მიცვალებულთ ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს, მიზეზად შურის ძიებას ასახელებენ.

**გლაზნო.** პოლიციამ 15,000 პატრონა აღმოაჩინა.

**ნანტი.** დააპატიმრეს მუშათა კავშირის დელეგატი, რომელიც ვაფიცვაში მონაწილეობას იღებდა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი



Формань

**ფორმანი**
**ს უ რ დ ო ს**
**წინააღმდეგ**
**კოლოფი 25 კაპ.**
იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში
(Метцль 22093. 6—ნ.—1)

1907 წლიდან ჟურნალ „ნაკადულის“ მისამართი გადატანილია

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

წელიწადი **ნაკადული** მესამე

1097 **წლის** 1 **იანვრიდან** 1908 **წლის** 1 **იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:**

**24** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მცირეწლოვანთათვის** | **12** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მოზრდილთათვის**

დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.

წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით საღამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь“-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდაში“; 6. **ბაქო,** ანა გრიგორის ასულ ქვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости“-ს რედაქციაში; 8. **ფოთი**, წიგნის მაღაზია „ივერიაში“; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში“; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გოშაძესთან: 11. **ელისავეტპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„ხვრასთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—30

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერის

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება —3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—99)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

## „ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობის ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვა). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რის ივისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმესპირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუღდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**

(20—569—23)

**გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად**

ახალი ქართული წიგნი

### ცოდნა და რევოლიუცია

გადმოკეთებული მთარგმნელისგან, გამოცემა „გუთნისა“; ფასი 7 კაპეიკი. (5—უ—1)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

[illegible]

(ელისაბედის ქუჩ., № 79, [illegible] № 1029).

მიიღება ავადმყოფები [illegible]

[illegible]: 11—12 ს. საშარდე, კანის და სიფილისი.

ა. ნ. [illegible]: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., [illegible].

გ. ა. [illegible]: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

ა. გ. [illegible]: 12—1 ს. ქალისა და ბავშვისა.

მ. ვ. [illegible]: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

ა. ა. [illegible]: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

ა. ი. [illegible]: 5—6 ს. სამშობიარო, ქალისა და ბავშვისა.

სამკურნალოში შეიძლება ექიმთა [illegible] ზით, [illegible] გიურ [illegible] აცრა [illegible] 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—47)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ზაზანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**ჟ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. **პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—56)

ქ უ თ ა ი ს შ ი

გაიხსნა საწყობი ნამდვილი

## ყიფიანის ღვინისა

ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.

ქუთაისი, ვ. ქილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ“ სტამბის გვერდით. (15—კვ.—13)

## ქუთაისში

### კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—13)

**მე მიხეილ ალექსანდრეს ძე გაგაროვი** ვიწვევ სამედიატორო სამართალში **იაგორ თავრდგელიძესა**, რადგან იგი აქეთ-იქით იძახის, რომ მე ვარ, ვინცა ვარ, რადგან იგი იმყოფება ცუდად. ჩემის მხრით ვიწვევ ორ კაცსა სიმართლის გასარჩევად: ნიკოლაი ლევანიძესა და კოწია პერტახიასა. თითონ ვინც სურს, ის ამოირჩიოს. ქალაქ ალექსანდროპოლი. **მიხეილ ალ. გაგაროვი.**

(3—23—2)

**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და **მესტამბეთა საყურადღებოდ.** ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**

(30—უ.—10) ია ეკალაძე-ცინცაძე.

**გამოვიდა და იყიდება**

ახალი წიგნი

Baton-ისა

„სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლიუცია“

„მუშათა მოძრაობა საფრანგეთში დიდ რევოლიუციამდე (1789 წ.)“


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.